კულტურული ტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება

ნანა ლუხუტაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მარიამ დენოსაშვილი
ტომას ბატას უნივერსიტეტი ზლინში
მე-2 კურსის მაგისტრი

CULTURAL TOURISM - ONE OF THE PRIORITY DIRECTIONS OF TOURISM

Nana Lukhutashvili
Associate Professor of Akaki Tsereteli State University and Kutaisi University
Mariami Denosasvhili
Tomas Bata University in Zlín,
II year Master's student

RESUME

Due to travelers growing interest in exploring different cultures, cultural tourism has emerged as one of the most important tourism markets globally. Recently, with the close cooperation between the country, the national tourism administration, and organizations, the popularity of Georgia and its tourist destinations has gradually increased, well-known reporters recognize the beauty and attractiveness of the country, the tourist base is expanding, our country hosts international, regional or national events, more attention is paid to natural and cultural Heritage care and preservation. If Georgia, rich in cultural and natural resources, spares no effort to develop this type of tourism, then it has the potential to become one of the prominent representatives of the world tourism industry.

keywords: Cultural Tourism, Cultural Routes Program, Cultural Routes of the European Council of Georgia.

* * * *

დიდი ხნის განმავლობაში ტურიზმი და მოგზაურობა საზოგადოების წარჩინებულ ფენასთან ასოცირდებოდა. ტურიზმი მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური წინსვლის, პირადი შემოსავლების, თავისუფალი დროის ზრდისა და ტურიზმის ინდუსტრიის შექმნის წყალობით გახდა. დღეს იგი მრავალი ქვეყნის ეკონომიკის წამყვან მიმართულებას წარმოადგენს.

თანამედროვე ეპოქაში კულტურული ტურიზმის ცნება გაფართოვდა. იგი მხოლოდ საუკუნეების წინ გავრცელებულ „ევროპულ მარშუტს" როდი მოიცავს. **მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 24-ე სესიაზე, რომელიც 2017 წელს ჩინეთის ქალაქ ჩენგდუში გაიმართა, შემუშავებული დეფინიციის მიხედვით**: *კულტურული ტურიზმი არის ტურისტული აქტივობის სახეობა, რომელშიც ვიზიტორის მოტივაციას წარმოადგენს შესწავლა, შემეცნება, აღმოჩენა, გამოცდილების მიღება ტურისტულ დესტინაციაზე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული ატრაქციების/პროდუქტის გამოყენებით.*

საერთაშორისო ტურისტულ ტერმინოლოგიაში გავრცელებული ტერმინი "კულტურული ტურიზმი" ქართული რეალობისათვის ცოტა არ იყოს უცხოა. ამას განაპირობებს არა ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის ეს სახეობა ნაკლებადა იყო ან არის განვითარებული, არამედ ის, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ იგი „შემეცნებითი ტურიზმის" სახელს ატარებდა. ვინაიდან ტურიზმი და ცნება „შემეცნება" ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია, შეუძლებელი გახდება ტურიზმის რომელიმე ერთი კონკრეტული სახეობის „შემეცნებით ტურიზმად" აღიარება. მაშასადამე უფრო გამართლებული და მისაღები იქნება, თუკი ამ შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკისამებრ გამოვიყენებთ ცნებას „კულტურული".

ტერმინს „კულტურული ტურიზმი" ოფიციალურ დონეზე პირველად საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 თებერვლის **# 49 დადგენილებაში „საქართველოში ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ"** ვხვდებით.

კულტურული ტურიზმის დროს ტურისტები უფრო მეტს ხარჯავენ ვიზიტისას ქვეყანაში, ვიდრე სხვა რომელიმე სახეობით მოგზაურობისას [1]. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ რეპორტზე „ტურიზმისა და კულტურის სინერგია" დაყრდნობით, კულტურული ტურიზმის წილი სტაბილურად იზრდება საერთო საერთაშორისო

მოგზაურობებთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორთა 40%-ს „კულტურული ტურისტები“ მიეკუთვნებიან- მოგზაურები, რომლებიც კულტურული ვიზიტის ფარგლებში ჩამოდიან ან ქვეყანაში ყოფნისას მონაწილეობენ აქტივობებში [2]. ამასთან 2017-2018 წლებში ჩატარებული კვლევების მონაცემებით, ტურისტთა 55% მოგზაურობის მიზანს დასვენება, რეკრეაცია და თავისუფალი დროის გატარება წარმოადგენს. მტუ-მ აგრეთვე გამოყო კულტურული ტურიზმის ზრდისა და წარმატების საფუძველის ექვსი კატეგორია, რომელიც კულტურული არეალის გათვალისწინებით არ იცვლება [3]:

1. ხელნაკეთი და ვიზუალური ხელოვნება;
2. გასტრონომია და კულინარია;
3. წეს-ჩვეულებები, რიტუალები და ფესტივალები;
4. მუსიკა და სამსახიობო ხელოვნება;
5. ზეპირსიტყვიერი ტრადიციები და გამოთქმები;
6. ბუნებასთან დაკავშირებული ცოდნა და პრაქტიკა;

გარდა აღნიშნული კატეგორიებისა, წარმატების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სია და ევროპის საბჭოს კულტურული მარშუტების პროგრამა წარმოადგენს.

საერთაშორისო მოძრაობის შექმნის იდეა მემკვიდრეობის დაცვის მიზნით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. **1972 წელს იუნესკომ** „მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია“ მიიღო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით ორი დამოუკიდებელი- კულტურული ტერიტორიების დაცვისა და შენახვის და ბუნების კონსერვირების- მოძრაობის შერწყმით წარმოიშვა. დღეისათვის მემკვიდრეობის სიაში 168 ქვეყნის 1199 ობიექტი შედის, მათ შორის: 932 კულტურული, 228 ბუნებრივი, 39 შერეული და 48 ტრანსასაზღვრო. საქართველოდან მემკვიდრეობის სიაში შედის გელათის მონასტერი, მცხეთის ისტორიული მონუმენტები, ზემო სვანეთი და კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭაობები.[4] მემკვიდრეობის სიაში შესული კულტურული, ბუნებრივი თუ შერეული ძეგლები ტურისტების მხრიდან დიდი ინტერესით სარგებლობს. მაგალითად, სიდნეის ოპერის სახლს, რომელიც 2007 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი, ყოველწლიურად 10,9 მილიონამდე ადამიანი სტუმრობს.[5]

კულტურული მარშუტების პროგრამა „სანტიაგო დე კომპოსტელას“ დეკლარაციით ევროპის საბჭოს მიერ 1987 წელს დაარსდა. პროგრამის მიზანი მოგზაურობა და ევროპის მდიდარი მემკვიდრეობის აღმოჩენა, ისტორიისა და მემკვიდრეობის გაზიარებაა ადამიანებისა და ადგილების დაკავშირებით. 45-ზე მეტი მარშუტის ფარგლებში ევროპის მოქალაქეებს საშუალება აქვთ განახორციელონ შემეცნებითი და გასართობი აქტივობები, რითაც ხელი შეუწყონ პასუხისმგებლიან ტურიზმსა და მდგრად განვითარებას. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სახის თემას: არქიტექტურასა და ლანდშაფტს, რელიგიას, გასტრონომიას, არამატერიალურ მემკვიდრეობას, ევროპულ მუსიკას, ხელოვნებას, ლიტერატურასა და ა.შ.

2016 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, საქართველო გახდა ევროპის საჭოს კულტურული მარშუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების 27-ე წევრი. საქართველოს ევროპის საბჭოს კულტურულ მარშუტებში ასოცირებულია 5 ქართული მარშუტიც: „ღვინის გზა“, „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშუტი“, „პრეისტორიული კლდის ხელოვნების მარშუტი“; „ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშუტი“ და „ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი“ [6].

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორებიცაა: გერმანია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო, ცნობილნი არიან კულტურული ელემენტებით, კულტურული ტურიზმი უფრო შესამჩნევი განვითარებად ქვეყნებშია.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ჩინეთია, რომელიც ტურიზმის ამ სახეობის „მექადაც“ კი შეგვიძლია მოვიხსენიოთ მისი ღრმა და დიდი ისტორიის გათვალისწინებით. იქ უამრავი ისტორიული და კულტურული ძეგლია, რომლებიც ტურისტებს პოსტკოვიდურ პერიოდშიც დიდი ტერიტორიული დაშორების მიუხედავად მაინც იზიდავს. ტურიზმით მიღებული შემოსავალი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკასა და მთლიან შიდა პროდუქტზე. Statistica-ს მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს მოგზაურობითა და ტურიზმით მიღებული შემოსავლებით (582.8 ტრილიონი ამერიკული დოლარი) ჩინეთი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამოუვარდებოდა [7].

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჩინეთის მსგავსად საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 3 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 82 დაცული ტერიტორია და ა. შ. აღნიშნული ბაზა კულტურული ტურიზმის განვითარების საფუძველსა და საწინდარს წარმოადგენს.

ტურიზმის ეროვნული სააგენტოს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით 2022 წელს ტურისტთა 53,6 % საქართველოში ჩამოსვლის მიზანს გართობა, დასვენება და რეკრეაცია წარმოადგენდა.[8] შესაბამისად, რეკრეაციაზე, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში დახარჯულმა თანხებმა 1,164,520,897 ლარი შეადგინა. რაც შეეხება შიდა ვიზიტორებს, იმავე კატეგორიაში მათი დანახარჯი 32,609,593 ლარს შეადგენდა.[9] სამწუხაროდ, საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატის უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევის საველე სამუშაოები დროებით შეჩერებული იყო. შესაბამისად, 2020 წლის II კვარტალიდან 2021 წლის IV კვარტალის ჩათვლით მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

კულტურული ტურიზმი ბოლო ორი ათწელულია ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტული და განვითარებული სახეა. 2003-2004 წლებში საქართველოში სამოგზაუროდ 14 სხვადასხვა შინაარსის ტურს აწარმოებდნენ, თუმცა მოთხოვნები უმთავრესად კულტურულ ტურიზმზე მოდიოდა და ფირმების 100% სწორედ ამ სეგმენტზე მუშაობდა. კომპანია "კუპერსი და ლიბრანდტის" საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით საქართველოში კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. თუმცა აქვე აღნიშნულია ისიც, რომ მიუხედავად საქართველოში ძეგლთა სიმრავლისა და მოვლა-პატრონობის მცდელობისა, „ძალიან ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მოვლილი."

შესაბამისად, თუკი აქტიურად ვიზრუნებთ ამ კუთხით ჩვენი ნაკლოვანებების ნაწილობრივ ან მთლიანად აღმოფხვრაზე, მაშინ საქართველოს გააჩნია საკმაოდ დიდი სამომავლო პერსპექტივა. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ტურიზმი აწარმოებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე მეტს. ამასთან, 2011 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების მთლიანი რაოდენობა 102%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 6.3 მილიონს (2011 წ: 3.1 მლნ). ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 955 მილიონი აშშ დოლარიდან 1.9 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ტურიზმის ამ სახეობის სამომავლო პერსპექტივების არსებობას კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტაციის მიერ შემუშავებულ **„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025"**-ში ზოგადად კულტურულ ტურიზმს და მის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სახელწიფო დონის მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, სტრატეგიებისა და პერსპექტივების დასახვას. *ბოლო დროს სახელმწიფოს, ტურიზმის ეროვნული ასოციაციისა და ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით თანდათან იზრდება ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული საერთაშორისო, რეგიონალური თუ ეროვნული ღონისძიებათა რიცხვი, საქართველოსა და მისი ტურისტული დესტინაციების პოპულარობა, ტურისტულ ობიექტთა რიცხვი, ცნობილი გამოცემები აღიარებენ ჩვენი ქვეყნის სილამაზესა და მიმზიდველობას, ფართოვდება ტურისტული ბაზა, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვასა და შენარჩუნებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასაკეთებელი კიდევ უფრო ბევრია.*

კულტურული ტურიზმის მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დესტინაციას წარმოადგენს რაბათის ციხე. „მატიანე ქართლისას" მიხედვით იგი IX საუკუნეში გუარამ მამფალს აუშენებია. XII-XIII საუკუნეებში მდინარე ფოცხოვის ნაპირას მდებარე ციხე ჯაყელების რეზიდენცია ყოფილა. მრავალჭირნახული, თვალწარმტაცი სანახაობა სამხრეთ საქართველოს ისტორიას ასახავს. რაბათის ციხე შვიდ ჰექტარზეა გაშლილი, აქ შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ ქართული, თურქული და რუსული არქიტექტურის ნიმუშები გვხვდება.

2011-2012 წლებში კომპლექსის რესტავრაციისათვის 34 მილიონი ლარი გამოიყო. ციხე-კომპლექსის ტერიტორიაზე განახლდა გალავანი, ციტადელი, IX-X სს-ის მართლმადიდებლური ტაძარი, ჰაჯი ახმედ-ფაშა ჯაყელის სახელობის მეჩეთი, მედრესე, მინარეთი და ჯაყელების სასახლე, სადაც განთავსდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი. [10]

2022 წლის მონაცემების მიხედვით, სამცხე-ჯავახეთი პოპულარულ რეგიონებს შორის მე-5 ადგილს იკავებს 7.7 %-ით, რასაკვირველია, სამცხე-ჯავახეთის ვიზიტორთა გარკვეული ნაწილი ახალციხეს რაბათის ციხის სანახავად სტუმრობს. 2022 წელს ახალციხე (რაბათი) მონახულებულ ადგილებს შორის 22-ე ადგილს იკავებდა 25 503 (0.6 %) საერთაშორისო ვიზიტორით. [11]

განახლებულ რაბათის ციხეს ხშირად ადარებენ სამხრეთ ესპანეთში, ქალაქ გრანადას აღმოსავლეთით მდებარე მავრიტანული პერიოდის არაბულ-სპარსული არქიტექტურის ნიმუშს- ალჰამბრას. ალჰამბრა 1984 წლიდან შეტანილია იუნესკოს

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. 2015 წლის მარტში **CNN travel**-ის მონაცემებით, ალჰამბრა და გენერალიფე მსოფლიოს ყველაზე მონახულებად ადგილებსა და სასახლეებში მე-9 ადგილს იკავებდა. ამასთან იგი 2022 წლის ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ესპანეთის ყველაზე მონახულებული ძეგლი გახდა სულ 678,633 ვიზიტორით [13].

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კულტურულ მემკვიდრეობასა და ზოგადად კულტურულ ტურიზმს მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თუკი კულტურული და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი საქართველო მაქსიმალურად შეეცდება ტურიზმის ამ სახეობის განვითარებას, მაშინ მას ნამდვილად გააჩნია პოტენციალი თავადაც გახდეს მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.mytravelresearch.com/culture-and-heritage-tourism-boosts-visitor-economy/
2. World Tourism Organization (2018), Tourism and Culture Synergies, UNWTO, Madrid, DOI: https://doi.org/10.18111/9789284418978
3. https://www.unwto.org/tourism-and-culture
4. https://whc.unesco.org/en/list/
5. https://www.sydneyoperahouse.com/building/interesting-facts-about-sydney-opera-house
6. https://www.coe.int/en/web/cultural-routes/georgia
7. https://www.statista.com/statistics/292479/total-contribution-of-travel-and-tourism-to-gdp-in-selected-countries/
8. საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა 2022 წელი
9. შიდა ვიზიტორების კვლევა, 2022 წელი
10. https://georgiantravelguide.com/ka/rabatis-tsikhe
11. საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა, 2023 წელი
12. https://spaintravelnews.co.uk/000415_700000-tourists-every-year-what-is-the-most-visited-monument.html